გრამატიკის ელემენტარული საკითხების ტექსტთან ინტეგრირებულად სწავლება

მალვინა შანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: malvina.shanidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.49

დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში, ტექსტების დამუშავების პარალელურად, შეისწავლება გრამატიკის ელემენტარული საკითხები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლემ ისეთი ცოდნა უნდა მიიღოს დაწყებით საფეხურზე, რომ შეძლოს: **„ენობრივ-გრამატიკული საშუალებებისა და ლექსიკის ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად.“** კერძოდ, შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორების მიხედვით:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიმნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ V-VI კლასებიდან უკვე იწყება მოსწავლეთა მეტაენობრივი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, აუცილებელია, რომ ენობრივ-გრამატიკული საკითხების დამუშავებას უფრო სისტემური და თანმიმდევრული ხასიაათი მიეცეს.

გრამატიკული საკითხების ინტეგრირებულად სწავლება ტექსტთან მიმართებით, ეს არის მიდგომა, რომლის მიზანია, გრამატიკა ისწავლებოდეს არა ცალკე, არამედ ტექსტებთან ორგანულ კავშირში, რათა მოსწავლეებმა გრამატიკული ცოდნა მიიღონ კომუნიკაციური კონტექსტის შიგნით, შინაარსთან და აზრთან ერთად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შედეგიანია ეს მიდგომა დაწყებით საფეხურზე, I-IV კლასებში, რადგან ამ ასაკში ბავშვები უკეთ სწავლობენ მთლიანად აღქმული ენობრივი ერთეულების გზით, ვიდრე ცალკეული წესებით.

გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს მეტყველების რეალურ სიტუაციებში - კითხვის, წერის, ზეპირმეტყველებისა და მოსმენის პროცესში. ნებისმიერი საგაკვეთილო ან სპეციალურად შერჩეული ტექსტი შეიძლება იქცეს საგნობრივ და ემოციურად დატვირთულ ფონად, რომელზეც ბავშვი სწავლობს ენობრივ ფორმებს და მათ ფუნქციურ გამოყენებას.

ინტეგრირებული სწავლების ძირითადი პრინციპებია:

• **კომუნიკაბელურობა** - გულისხმობს იმას, რომ გრამატიკა ემსახურება აზრის სწორად გადმოცემას და არა მხოლოდ წესის დამახსოვრებას;

• **კონტექსტურობა** - როცა გრამატიკული ფორმები აიხსნება იმ ტექსტიდან, რომელსაც მოსწავლე კითხულობს/შეისწავლის;

• **ინტერდისციპლინურობა** - ტექსტები თემატურად შეიძლება უკავშირდებოდეს ბუნებისმცოდნეობის, ისტორიის, ხელოვნების საგნებს;

• **საგანს შიგნით ინტეგრაციაა** - ტექსტი, გრამატიკული მოვლენა, ლექსიკოლოგია და ა. შ.;

• **შემოქმედებითი სწავლა** - ბაშვები მოგვითხრობენ და ქმნიან მარტივ ტექსტებს, ასწორებენ შეცდომებს, კითხულობენ როლებში, მონაწილეობენ ისეთ შემოქმედებით აქტივობებში, როგორებიცაა: „თოვლის გუნდები," „გაყინული ეპიზოდი," „დიორამა," „დროის ღერძი," „ინტერვიუ პერსონაჟთან," „ჩაიხედეთ პერსონაჟის ტვინში," „გენდერული ჩანაცვლება" და ა. შ.;

• **რეფლექსია და დაკვირვება** - მოსწავლეები თავად აგნებენ წესს, აანალიზებენ შესწავლილს; მასწავლებელი კი, ძირითადად, მიმართულებას აძლევს და აფასებს მათ.

ინტეგრირებული სწავლებისთვის მნიშვნელოვანია:

1. პირველ რიგში, **ტექსტი, როგორც სწავლების ცენტრი,** ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გააზრება. გრამატიკული ერთეულები ყოველთვის ამოიძებნება ისეთი ტექსტებიდან, როგორებიცაა: ლექსი, მოთხრობა, საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, დიალოგი . . .

2. **აზრობრივი მუშაობა** - გაირკვევა მთავარი აზრი, გამოიკვეთება პერსონაჟთა თვისებები, დალაგდება მოვლენები.

3. **აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლება** - ენობრივი დაკვირვება სიტყვებზე, ფორმებზე, წინადადებებზე. მოსწავლე თვითონ ამჩნევს ენობრივ მოვლენას: ამიტომ, მათ ის კი არ უნდა ვუთხრათ, „დღეს ვისწავლით არსებით სახელს," არამედ: „რომელი სიტყვები აღნიშნავს საგნებს ტექსტში?"

4. **ფუნქციური მიდგომა**. გრამატიკა ისწავლება არა როგორც წესი, არამედ როგორც ენის ფუნქცია: რატომ გამოიყენება? რას ცვლის აზრში? როგორ ეხმარება ტექსტის გაგებას? (წესის ჩამოყალიბება მოსწავლეთა უშუალო ჩართულობით).

5. **მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** (წერა, საუბარი, ტექსტის შექმნა).

რატომ არის ეს მიდგომა ეფექტური? გრამატიკა არ არის „მშრალი წესი," - ენა აღიქმება, როგორც ცოცხალი სისტემა.

მოსწავლეებს უვითარდება: ტექსტის გაგების უნარი, მეტყველება, წერა, აზროვნება. გრამატიკის სწავლა მიმდინარეობს, როგორც ბუნებრივი პროცესი.

პრაქტიკული მაგალითი:

მე-3 კლასი

თემა: არსებითი სახელი და ზმნა (1-ელ ეტაპზე სპეციალურად შედგენილი მოკლე ტექსტის გამოყენებით).

„ერთ დილას პატარა ბიჭი ეზოში გავიდა. მზე ანათებდა და ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. ბიჭმა ბურთი აიღო და თამაში დაიწყო."

1-ელი დავალება. მუშაობის პროცესი ტექსტის კითხვითა და გაგებით იწყება. კითხვა-პასუხის რეჟიმში ბავშვები გაარკვევენ, ვინ არის ტექსტის მთავარი გმირი? სად ხდება მოქმედება? დღის რომელ მონაკვეთს აღწერს ტექსტი? რა ჰქნა ბიჭმა? რას შვრებოდნენ ჩიტები? მზე? . . .

მე-2 დავალება ცხრილის შევსებაა, რომელშიც უნდა გადაიტანონ მოსწავლეებმა ტექსტიდან ამოკრებილი სხვადასხვა სახის არსებითი სახელები და განათავსონ ადამიანის, ცხოველების, საგნებისა და ბუნებრივ მოვლენათა სვეტებში.

ადამიანი	ცხოველი/ფრინველი	საგანი	ბუნებრივი მოვლენის საგანი
ბიჭი	ჩიტები	ბურთი	მზე

მომდევნო ცხრილი ცოცხალ და არაცოცხალ, ვინ? და რა? ჯგუფის არსებითი სახელების საგნებად დაყოფას დაეთმობა. პედაგოგი აქვე შეახსენებს, რომ კითხვა „ვინ?“ დაესმის მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვას, „რა?“ - ყველა დანარჩენს.

ცოცხალი	არაცოცხალი	„ვინ?“ ჯგუფის	„რა?“ ჯგუფის
ბიჭი ჩიტი	ბურთი მზე	ბიჭი	ჩიტი მზე ბურთი

მესამე დავალება ტექსტში ზმნების (მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები) ამოძებნას დაეთმობა. მოსწავლეები პასუხს გასცემენ დასმულ კითხვებს და ზმნებს გადაანაწილებენ ცხრილში დროის მიხედვით:

რა ჰქნა ბიჭმა (გავიდა)?

რას შვრებოდა მზე?

რას შვრებოდნენ ჩიტები?

კიდევ რა ჰქნა ბიჭმა (აიღო, დაიწყო)?

მეოთხე დავალება ზმნების დროების მიხედვით წარმოდგენას ეხება:

წარსული (გუშინ, ადრე)	აწმყო (ახლა, დღეს)	მომავალი (ხვალ, შემდეგ)
ანათებდა	ანათებს	გაანათებს
გავიდა	. . . . .	. . . . .
ჭიკჭიკებდნენ	. . . . .	. . . . .
აუღო	. . . . .	. . . . .
დაიწყო	. . . . .	. . . . .

მომდევნო ეტაპი შემოქმედებითი წერაა.

დავალება - 5.

ა) გააგრძელეთ ტექსტი 3-4 წინადადებით ისე, რომ გამოიყენოთ მინიმუმ სამი არსებითი სახელი და ორი ზმნა.

ბ) დაასათაურეთ ტექსტი შინაარსიდან გამომდინარე.

ტექსტის ინტეგრირებული სწავლებისას გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები: ტექსტზე დაკვირვება; ფერებით მონიშვნა; სიტყვების კლასტერები; მრავალფეროვანი დავალებები; ცხრილები; ტექსტის ტრანსფორმაცია; როლური კითხვა; ტექსტის გაგრძელება; თავისუფალ თემაზე წერა; ტექსტის რედაქტირება . . .

თემა: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი და რიცხვითი სახელები

ტექსტი: სულხან-საბა ორბელიანის „ენით დაკოდილი“

„კაცი და დათვი დაძმობილდენ. ერთხელ კაცმა დათვი შინ მიიწვია და კარგად მოილხინა. გამოთხოვებისას კაცმა დათვი გადაკოცნა და ცოლსაც აკოცნინა.

ქალი დათვის სიმყრალემ შეაწუხა, გადააფურთხა და თქვა:

- პირმყრალ სტუმარს ვერ ვეწყობიო!

დათვი წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეს კაცი წავიდა სტუმრად დათვთან და თან ცული წაიღო: გზად შეშას მოვჭრი და წამოვიღებო!

შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც მეგობრებს შეეფერებოდა, იმგვარად მოისიყვარულეს ერთმანეთი. მერე დათვმა დაიჟინა:

- თავზე ერთი ცული დამკარი და დამკოდეო!

კაცმა უარი უთხრა, მაგრამ დათვი არ მოეშვა. კაცმაც დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა, კაცი კი შინ.

ერთი თვის შემდეგ ისევ შეხვდნენ. დათვს თავი გამრთელებოდა.

დათვმა უთხრა:

- ძმაო, შენი ცულით დაკოდილი თავი გამიმრთელდა და შენი ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.“

1. **კითხვა და გაგება -** მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს (კითხვის სხვადასხვა მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით). შემდეგ მასწავლებლის დახმარებით, კითხვა-პასუხის რეჟიმში, განსაზღვრავენ: რა ხდება, რას აკეთებს, ვინ მოქმედებს, სად დადის, სად, როდის და რატომ ხდება მოქმედება . . .

მიზანი - გააანალიზონ პერსონაჟთა მოქმედება და ჩამოაყალიბონ სიუჟეტურ ქმედებათა თანამიმდევრობა. გამოიყენონ სქემა „მოვლენათა ჯაჭვი.“

2. **გრამატიკული აქტივობა**

მასწავლებელი მაგნიტურ დაფაზე აკრავს მოსწავლეთა მიერ ტექსტიდან ამოკრებილ ზმნებს და ეკითხება კლასს: - რომელ დროშია დაწერილი ზმნები და თავად სულხან - საბა ორბელიანის „ენით დაკოდილი?“

მიზანი - მოსწავლეებმა ამოიცნონ ზმნის დროები და გამოიყენონ წინადადებების ან თხრობითი ტექსტების შედგენისას.

3. **პრაქტიკული მუშაობა**

დავალება:

ა) ტექსტიდან ამოკრებილი ზმნები გადაიყვანონ აწმყოსა და მომავალ დროებში და განათავსონ ცხრილის შესაბამის სვეტში:

წარსული (ადრე, გუშინ)	აწმყო (ახლა, დღეს)	მომავალი (შემდეგ, ხვალ)
მოილხინა დაძმობილდნენ მიიწვია გადაკოცნა გაუტეხა დაჰკრა	ილხენს	მოილხენს

ბ) პირველ სვეტში წარმოდგენილი წარსული დროის ზმნების გამოყენებით შეადგინეთ 3-4 სიტყვანი წინადადება ისე, თითქოს მოქმედება წარსულში მოხდა.

მეორე სვეტში დაფიქსირებული აწმყო დროში გადაყვანილი ზმნების გამოყენებით შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ისე, თითქოს მოქმედება ახლა ხდება.

მესამე სვეტში წარმოდგენილი მომავალ დროში გადაყვანილი ზმნების გამოყენებით შეადგინეთ 3-4 სიტყვიანი წინადადება ისე, თითქოს მოქმედება მომავალში მოხდება.

მიზანი: გრამატიკული ფორმის კონტექსტში გამოყენება.

4. წერითი აქტივობა

წარსულ დროში დაწერეთ მოკლე ტექსტი თავისუფალ თემაზე. გამოიყენეთ ტექსტიდან ამოკრებილი მინიმუმ ხუთი ზმნა.

მიზანი: ცოდნის გამოყენება ტექსტის შექმნისას.

5. დავალება - ზმნებზე მუშაობა. პედაგოგი მოამზადებს დავალების ბარათებს ინსტრუქციით: გადაწერე წინადადებები და შესაბამის ადგილას ჩასვი სათანადო ზმნები: ა) გაიგო - გაიგონა, ბ) ესტუმრა - ისტუმრა, გ) გამიმრთელდა - არ გამიმრთელდაო.

ა) კაცმა დათვისგან . . . . . ცოლის საქციელის შესახებ.
დათვმა . . . . . ქალის ნათქვამი.

ბ) ცოტა ხნის შემდეგ კაცი . . . . . დათვს.
დათვმაც სიხარულით . . . . . მოსიყვარულე მეგობარი.

გ) შენი ცულით დაკოდილი თავი . . . . . ,
შენი ცოლის ენით დაკოდილი გული - . . . . . .

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეებს:

- ჩამოუყალიბდებათ გრამატიკულ-ენობრივი ცოდნა, როგორც აზროვნების საშუალება, და არა თეორიული წესების კრებული;
- გაიზრდება საკითხის მიმართ მოტივაცია და ინტერესი;
- გრამატიკული ცოდნა გახდება ფუნქციური და პრაქტიკულად გამოსაყენებელი;
- განუვითარდებათ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები.

შიდა ინტეგრირების კომპონენტები:

- ენისა და გრამატიკის ელემენტარული საკითხები;
- კითხვა, ტექსტის დამუშავება და წაკითხულის გააზრება:
- წერითი მეტყველების განვითარება.

შეფასება: აქტივობა ახალი მასალის გაცნობას და გავარჯიშებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, მისი მიმდინარეობისას რეკომენდებულია განმავითარებელი შეფასების გამოყენება. ამ აქტივობებით შეგვიძლია შევაფასოთ:

- ახერხებს თუ არა მოსწავლე არსებითი სახელების, ზმნების ამოწერას ტექსტიდან და მათ დახარისხებას;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს, სათანადო კითხვები დაუსვას არსებით სახელებს, ზმნებს;
- ასრულებს თუ არა იგი დავალებას ინსტრუქციის მიხედვით;
- შეუძლია თუ არა მარტივი დასკვნების გამოტანა;
- ახერხებს თუ არა შესწავლილი მასალის საფუძველზე აზრობრივი რუკის შევსებას;
- შეუძლია თუ არა მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობა;
- ახერხებს თუ არა მოსწავლე, ახსნას თავისი არჩევანი;
- ავლენს თუ არა მოსწავლე თანამშრომლობის უნარს.

მეთოდური მითითება: აქტივობა მრავალეტაპიანია და შესაძლებელია მოსალოდნელზე მეტი დრო მოითხოვოს გაკვეთილზე. ამიტომ, მასწავლებელს შეუძლია გარკვეული მოდიფიკაციები შეიტანოს მასში, ან გაანაწილოს ორ/სამ გაკვეთილზე.

ე) დაასრულე ცხრილის შევსება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში:

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
ნიმუში: მე მივიწვიე ---------- მე შევხვდი ---------- შენ მოილხინე	 ჩვენ მივიწვიეთ თქვენ დამკარით ---------- ჩვენ ვერ ვეწყობით ----------

ვ) **სწორად გაანაწილეთ სიტყვები:** დგას, დგანან; აქვს, აქვთ . . .
მაგიდასთან სკამები დგა . . . .
კაცი და დათვი სახლთან დგა . . . .
კაცს ცული აქვ . . .
ცოლ-ქმარს ლამაზი სახლი აქვ . . .

აქტივობა: ვინ? რა? რამდენი? როგორი? - წაკითხული ტექსტიდან მეტყველების ნაწილების ამოკრება და დაჯგუფება.

აქტივობის შესახებ: ეს აქტივობა მოსწავლეს საშუალებას აძლევს, შეისწავლოს და დაამუშაოს გრამატიკული საკითხები. იგი სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა დონის კოგნიტური უნარების (გაგება, გააზრება და გამოყენება) დაუფლებას.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები:

- ივარჯიშებენ არსებითი სახელების ამოცნობაში;
- ამოიცნობენ ტექსტში ზედსართავ სახელებს;
- ივარჯიშებენ რიცხვითი სახელების ამოცნობაში;
- გაიაზრებენ ტექსტის შინაარსს;
- გაიხსენებენ ნაცნობ ზედსართავ სახელებს - ცალკე და არსებითთან ერთად;
- იმუშავებენ დამოუკიდებლად.

რესურსები: საკითხავი ტექსტები, ილუსტრაციები, დავალების ბარათები, დაფა, ცარცი/მარკერი, რვეული, კალამი.

აქტივობების აღწერა:

1. მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, დაასახელონ წაკითხული ტექსტიდან ყველა არსებითი სახელი, რომლებსაც მოსწავლეების კარნახის საფუძველზე ჩამოწერს დაფაზე. ბავშვები, ამავდროულად, გადაიწერენ მათ რვეულებში (კაცი, დათვი, ცოლი, ქალი, ცული, შეშა, თავი, ტყე, ენა . . .).
2. ტექსტიდან ამოკრებილი არსებითი სახელები გადაიყვანონ მრავლობით რიცხვში.
3. ამის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად დაძებნონ და არსებით სახელებს გასწვრივ მიუწერონ ის სიტყვა (ან სიტყვები), რომელიც ახასიათებს თითოეულ მათგანს (ზედსართავი სახელი).
4. ბუნებრივია, ტექსტში ყველა არსებით სახელს არ ეხლება ზედსართავი. ამიტომ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ასეთ არსებით სახელებს თავად შეურჩიონ შესაბამისი ზედსართავი სახელები - ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით.

5. როდესაც ყველა სიტყვას დააწყვილებენ, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ დამატებითი ზედსართავი სახელები არსებითი სახელების დასახასიათებლად, - მხოლოდ, ტექსტის შინაარსისგან დამოუკიდებლად.

დავალების ბარათებს, რომლებსაც ინდივიდუალურად (ან ჯგუფებში) ჩამოვურიგებთ მოსწავლეებს, ასეთი სახე ექნება:

ამოიწერეთ ტექსტიდან ყველა ის არსებითი სახელი, რომლებსაც ახლავს ზედსართავი:
ნიმუში: დაკოდილი თავი; დაკოდილი ბული.

მხოლობითი არსებითი სახელები	**მრავლობითი** არსებითი სახელები
კაცი, დათვი, ცოლი, ქალი, ცული, შეშა, თავი, ტყე, ენა .	კაცები . . .

ამოიწერეთ ტექსტიდან ხუთი არსებითი სახელი და მიუსადაგეთ შესაბამისი ზედსართავი. დაუსვით კითხვა თითოეულ მათგანს:
ნიმუში: - როგორია ცული? - მჭრელი (მჭრელი ცული).
- როგორია დათვი? ცოლი? ტყე? ქალის ენა?

შეფასება: ამ აქტივობით შეგვიძლია შევაფასოთ, შეუძლია თუ არა მოსწავლეს:
- არსებითი სახელების ამოცნობა;
- ზედსართავი სახელებში გარკვევა;
- მრავლობითი რიცხვის წარმოება;
- ტექსტის შინაარსის გააზრების საფუძველზე ზედსართავი სახელების მისადაგება არსებითი სახელებისათვის;
- ნაცნობი სიტყვების/ზედსართავი სახელების გახსენება;
- დამოუკიდებლად მუშაობა.

მეთოდური მითითება: თუ მასწავლებელი ამ ტიპის აქტივობებს უფრო მაღალ კლასებშიც გამოიყენებს, მას შეეძლება გაართულოს იგი და მოთხოვოს მოსწავლეებს, მაგალითად, არსებითი და ზედსართავი სახელების დაჯგუფება შინაარსისა და ფორმის მიხედვით. ამგვარი აქტივობის გამოყენება სხვა მეტყველების ნაწილების დასამუშავებლადაც შეიძლება.

როგორც გამოიკვეთა, ძირითადად, გრამატიკის საკითხებს იმის მიხედვით არჩევს პედაგოგი, თუ რის შესაძლებლობას უქმნის ტექსტი. მაგ., ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვები ვამუშაოთ არა მარტო არსებითსა და ზედსართავ სახელებზე, ზმნებსა და რიცხვით სახელებზე, არამედ მიმართვისა და დიალოგის ფორმებზე, ფრაზეოლოგიზმებზე, პუნკტუაციის ნიშნების მართებულ მოხმარებაზე, ლექსიკოლოგიასა და ა. შ., რომლებზე მუშაობაც კიდევ უფრო შემოქმედებითს გახდის გრამატიკის ელემენტარული საკითხების ტექსტთან ინტეგრირებული სწავლებისას მიღებულ ცოდნას.

საკვანძო სიტყვები: ესგ, ტექსტი, ინტეგრირება, ფუნქციური გამოყენება, შედგენილი სავარჯიშოები.

ლიტერატურა:

1. შანიძე მალვინა, „წიგნიერების საფუძვლები,“ ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021 წ.
2. მიქაძე მანანა, შანიძე მალვინა, „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა დაწყებით საფეხურზე,“ ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018 წ.
3. 2025-2028 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა.
4. კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, I-VI კლასები, **G-PriEd**, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი, 2017

Malvina Shanidze
Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
e-mail: malvina.shanidze@atsu.edu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2026.11.49

Teaching Grammar Issues Integrated with Text

Abstract

According to the National Curriculum, a student should acquire such knowledge at the primary level that he/she can: “Functionally use linguistic and grammatical means and vocabulary knowledge to solve specific tasks.”

However, considering that the development of students’ meta-linguistic skills begins in grades V-VI, it is necessary to give the processing of linguistic and grammatical issues a more systematic and consistent nature.

Integrated teaching of grammatical issues in relation to the text is an approach whose goal is to teach grammar not separately, but in an organic connection with texts, so that students acquire grammatical knowledge within a communicative context, together with content and meaning.

The work establishes 6 basic principles of integrated learning and issues that are important in integrated learning. These are: text as a learning center; meaningful work on the text; discovery-based learning; functional approach to the issue and application of the acquired knowledge in practice.

The effectiveness of these approaches is established, since language is perceived as a living system. The following examples are used: a) a small text, b) Sulkhan-Saba Orbeliani's fable "Encoded by Language" and c) specially designed tasks. It discusses elementary grammar issues based on text data.

I assigned an important function to the goals set for activities and correctly developed, description, development and use of task cards, methodological instructions and the importance of student assessment.

Keywords: ESG, text, integration, functional use, composed exercises.